აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ოპერაციების მენეჯმენტში

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“

26 ნოემბერი 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

8 იანვარი 2020 წელი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**უნივერსიტეტი**
დაწესებულების სახე	**211359448**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში**
განათლების საფეხური	**სამაგისტრო პროგრამა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ოპერაციების მენეჯმენტში 0413**
სწავლების ენა	**ქართული**
კრედიტების რაოდენობა	**120**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**აკრედიტებული**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნათია დაღელიშვილი,** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ლარისა პატარაია** კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია “Start- Business Solutions”, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ სამაგისტრო პროგრამის ოპერაციების მენეჯმენტში მიზნებია:

- სტუდენტებს შესძინოს იმ პროცესების დიზაინის შემუშავებისათვის, დაგეგმვისათვის, შესრულებისა და კონტროლისათვის საჭირო უნარები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის სასურველი პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებას;
- შეასწავლოს სტუდენტებს კომპანიის ამოცანებიდან და მომხმარებელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე, როგორ უნდა შექმნან, გამართონ, მართონ და აკონტროლონ პროდუქციის და სერვისების მიწოდების ბიზნესპროცესები და ოპერაციები ეფექტიანად;
- მოამზადოს პროფესიონალები, რომლებიც სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებენ რთულ და სწრაფად ცვალებად ბიზნესის გარემოში;
- შესძინოს სტუდენტებს ოპერაციების მართვასთან დაკავშირებული ანალიტიკური და ლიდერული უნარები, პრაქტიკაში დასმული ამოცანების გადასაწყვეტად და გამოწვევების საპასუხოდ;
- შესძინოს ცოდნა, რომელიც აუცილებელია ბიზნესის ოპერაციების ანალიზისა და განვითარებისათვის და უნარები ამ ოპერაციების ხარისხის, პროდუქტიულობის და ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის

პროგრამა ორიენტირებულია საშუალო და მაღალი თანრიგის პრაქტიკოს მენეჯერებსა და ბიზნეს-ანალიტიკოსებზე/კონსულტანტებზე.

სამაგისტრო პროგრამის, ოპერაციების მენეჯმენტში, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ოპერაციების მენეჯმენტში“ პროგრამა აკრედიტირებულია აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N20, 03.02.2015, 2020 წლის თებერვლამდე.

სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში შეიქმნა რეალური საჭიროების გათვალისწინებით, კერძოდ საქართველოს რკინიგზის დაკვეთით. საქართველოს რკინიგზას მიზნად ჰქონდა დასახული საშუალო და მაღალი დონის მენეჯერების მომზადება ოპერაციების მენეჯმენტში. 2012 წელს პროგრამა ხელმისაწვდომი გახდა ყველა სხვა სექტორის წარმომადგენლებისათვის, სადაც ოპერაციების მენეჯმენტის საჭიროებაა. 2010- 2014 წლებში პროგრამა ხორციელდებოდა არააკრედიტებულ რეჟიმში, ხოლო 2015

წლიდან მოხდა მისი აკრედიტაცია მირებული გამცდილების გათვალისწინების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც შედგება 4 მოდულისაგან, ამასთანავე 115 კრედიტი ძირითადია, რომელიც მოიცავს სადიპლომო პროექტსაც, ხოლო 5 კრედიტი არჩევითია

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 26 ნოემბერს. ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, 25 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 16:30 საათიდან 18:30 საათამდე, სადაც მიმდინარეობდა წარმოდგენელი დოკუმენტაციისა, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც უნდა დასმულიყო მომდევნო დღეს, ინტერვიუს პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

26 ნოემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9.40 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება/ინტრვიუ შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა „სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში“ შესაბამისობაშია სტანდარტთან. კერძოდ პირველი სტანდარტი, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და

მათთან პროგრამის შესაბამისობა, მეტწილად შესაბამისია, რადგან მეტწილად შესაბამისობაშია 2.2. და 2.4. ქვესტანდარტი.

მესამე სტანდარტი, სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება, მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. და ბოლოს, მეხუთე სტანდარტი, სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- დასახვეწია სადიპლომო პროექტის სილაბუსი, უნდა დაემატოს/შემუშავდეს ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა და სტუდენტს მოეთხოვოს პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს მეთოდოლოგიის და/ან აღწერილობის წარმოდგენა, რადგან ეს ნაწილი გათვალისიწნებულია შეფასებაში, თუმცა შესრულებულ ნაშრომებში არ არის ასახული, რაც ნაშრომის შეფასების ადეკვატურების დადასტურების საშულებას არ იძლევა;
- მოხდეს სტუდენტთა სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებში და აქტივობებში ინტენსიური ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ინფორმაცია სენსიტიურია არსებობს თანამედროვე მეთდები, როგორ შეიძლება მხოლოდ პრაქტიკული მიგნებების დემოსტრირება;
- მოხდეს პლაგიატის პროგრამის გამოყენება, სადიპლომო პროექტზე მუშაობისას, მიუხედვადი იმისა, რომ შესაძლბელია ყველა ნაშრომი იყოს უნიკალური, ალბათობა იმისა, რომ შესაძლბელია ანალზის ახდენდენ სხვის ქეისებში განხილულის მსგავსად მაინც მაღალია.

- მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა), დაბალია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებელი საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში, აგრეთვე არაა სათანადოდ უზრუნველყოფილი საერთაშორისო თანამშრომლობა გამოხატული საერთაშორისო კვლევებით, გამოქვეყნებული

შრომებით, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლით, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამებით, ორმხრივი შეთანხმებებით, მემორანდუმებით, და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება განახორციელოს როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის პროპორციული შეფასებით და წაახალისოს კვლევითი კომპონენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსებში ჩამატებული იქნას არასავალდებულო ლიტერატურა;
- სადიპლომო პროექტის მომზადებისას სტუდენტებს მოეთხოვოთ სხვა კომპონენტებთან ერთად ლიტერატურის მიმოხილვა;
- სადიპლომო პროექტის მომზადებისას მასში უფრო მეტად გათვალიწინებული იყოს სამეცნიერო მიმართულებაც;
- პროგრამაში შეტანილი იქნას საგანი ბიზნესის კვლევის მეთოდები;
- ინტერნაციონალიზაციის მიზნით სასურველია დაწესებულებამ წაახალისოს სტუდენტები საერთაშორისო მობილობებში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით;
- საგნის სილაბუსს „ეფექტური კომუნიკაცია“, დაემატოს სასწავლო გეგმა;

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- პროგრამა ითვალისწინებს ტრენინგის ტიპის საგანს „ეფექტურ კომუნიკაციას“, რომელიც ახდენს სტუდენტებში ტრანსფერული უნარების განვითარებას.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციის პროცესში მნიშვნელოვანი მიღწევები ანდა პროგრესი არ განხორციელებულა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში აკრედიტირებულია 2015 წლიდან. პროგრამაში გამოყოფილია ხუთი ძირითადი მიზანი, რომელიც ემსახურება კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას ოპერაციების მენეჯმენტში. ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომელიც სტუდენტს ეხმარება ეფექტური საოპერაციო და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში ერთდროულად მოიცავს სიღრმისეული პრაქტიკული ცოდნის გენერირებას, მიმართულია ლიდერული უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ და იმ კომპეტენციების დაგროვებისკენ, რომელიც დარგში სტანდარტების დანერგვას ემსახურება. პროგრამის მიზნები არის სპეციფიური, რეალისტური და მიღწევადი. დაფუძნებულია შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევებზე და ორიენტირებულია, ისეთი სამუშაო ძალის მომზადებაზე, რომელიც აძლიერებს და დადებით გავლენას ახდენს კომპანიის პერფორმანსზე. ამის საფუძველს გვაძლევს პროგრამის შექმნის წინაპირობა, როდესაც შპს „საქართველოს რკინიგზის“ დაკვეთით მოხდა მისი შემუშავება და წლების განმავლობაში ემსახურება დაბალი და საშუალო რგოლის მენეჯერების კვალიფიკაციის ამაღლებას. პროგრამაზე ინფორმაცია სრულად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ გვერდზე http://freeuni.edu.ge/node/458 დაინტერესებული პირი ამომწურავად შეიძლება გაეცნოს პროგრამას, კურიკულუმს, საგნების აღწერას, სასწავლო განრიგს, მიღების წესს. აქვეა წარმოდგენილი სარეგისტრაციო ფორმა და ინფორმაცია საფასურისა და გადახდის პირობების შესახებ.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ინტერვიუების დროს სხვადასხვა დაინტერესებულ და ჩართულ ჯგუფთან, გამოვლინდა, რომ ოპერაციების მენეჯმენტში სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულად არის გაზიარებული მათ მიერ. როგორც ადმინისტრაცია, ასევე აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, მიმდინარე სტუდენტები და დამსაქმებლები იზიარებენ პროგრამის მიზნებს, ნათლად ხედავენ ამ პროგრამის უნიკალურ კომპეტენციას და დადებითად აფასებენ მას.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა არ ემსახურება მეცნიერების განვითარებას. ის მთლიანად არის პრაქტიკაზე ორიენტირებული და ამ სტრატეგიით ცდილობს ცვლილებები შეიტანოს და განავითაროს დარგი ძირითადად ადგილობრივ დონეზე. მისი ინტერნაციონალიზაციის ხარისხი მოიცავს მხოლოდ იმ დაშვებას, რომ კურსდამთავრებულები ჩართულები არიან საერთაშორისო პროექტებში, მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები ლოგიკურ ბმაშია როგორც უნივერსიტეტის მისიასთან, ასევე ბიზნეს სკოლის გაცხადებულ ღირებულებებთან და ძირითად პრინციპებთან. ვიზიტის დროს ინტერვიუების ფარგლებში დადგინდა, რომ პროგრამის მომხმარებლებს აქვთ მაღალი ლოიალურობა ბრენდის მიმართ და პროგრამის დაპირება შესაბამისობაში მოდის როგორც საუნივერსიტეტო, ასევე სკოლის დონეზე შემუშავებულ მიზნებს, მისიას და სტრატეგიებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამის მიზნები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- ✓ ბიზნეს სკოლის პრინციპები და ღირებულებები;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ✓ ვებგვერდი;
- ✓ დაინტერესებული მხარეების ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამის შედეგები ოპერაციების მენეჯმენტში გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და შეესაბამება მას, როგორც ცოდნის გენერირებების, ასევე განვითარებული უნარ-ჩვევების და დაგროვილი კომპეტენციების თავლსაზრისით. პროგრამის ძირითადი შედეგია კურსდამთავრებულმა იცოდეს შეზღუდული რესურსების ოპტიმალურად გამოყენების გზები, სიღრმისეულად ფლობდეს ოპერაციების მთავარი ბიზნეს პროცესების დაგეგმვის, აღსრულების, შეფასების და კონტროლის ციკლს. პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულს შეეძლოს ტურბულენტურ გარემოში სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება; ქონდეს კომპეტენცია პრობლემის ინოვაციური გადაჭრის გზების შემუშავებაში მულტიდისციპლინური მიდგომის გათვალისწინებით; პროგრამის ძირითადი შედეგია სტუდენტს დაუგროვოს კომპეტენციები და აუმაღლოს უნარ-ჩვევები კომპლექსური პროექტების მართვაში: ლიდერობის, გუნდის დაკომპლექტების და გუნდის ეფექტური მართვის კონტექსტში. პროგრამის მიზნების და შედეგების კავშირის დასანახად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა და ასევე საგნებისა და სწავლის შედეგების რუქა. ოპერაციების მენეჯმენტში ბიზნეს ადმინისტრირების სწავლის ძირითადი 5 მიზანი გადის პროგრამის 13 ძირითად შედეგზე, ხოლო თითოეული საგანი საშუალოდ - 7 ძირითად შედეგზე.

პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კლასიფიკაციის ჩარჩოთი განსაზღვრულ მეშვიდე დონესთან როგორც ცოდნა/გაცნობიერების, ასევე უნარებისა და პასუხისმგებლობებისა /ავტონომიურობის თვალსაზრისით და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე ასახულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ სილაბუსებში და შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან. თითოეულ სილაბუსში გაწერილი სწავლის შედეგებისთვის შემუშავებულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. კურსებში სტუდენტების შედეგების შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების (2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად. შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაცია სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია, როგორც სილაბუსში, ისე გამოცდების ჩატარების წესის, მაგისტრატურის დებულებაში და განთავსებულია ვებ-გვერდზე. პროგრამა ითვალისწინებს ლექტორსა და სტუდენტს შორის უკუკავშირის საუკეთესო პრაქტიკას. ვინაიდან ერთ ნაკადში არაუმეტეს 37 სტუდენტია, ლექტორი ყველა სტუდენტს ინდივიდუალურად აძლევს უკუკავშირს კურსის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობებში მიღებული შედეგების შეფასების შესახებ.

პროგრამის ფარგლებში შემუშავებული მოდულების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის დაგეგმილი, რათა სწავლის პროცესში სტუდენტი თანმიმდევრულად გავიდეს იმ შედეგებზე, რომელიც პროგრამას აქვს განსაზღვრული. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება PDCA დინამიური სისტემის მიხედვით თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და მას აქვს უწყვეტი ხასიათი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს სწავლის შედეგების გაზომვის, ანალიზის და შეფასების როგორც პირდაპირ ასევე არაპირდაპირ მიდგომებს. ამ პროცესებში მონაწილეობას იღებს როგორც სტუდენტი, ასევე აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები. პერიოდულად ტარდება კვლევები დაინტერესებულ მხარეებთან. ხდება კვლევის შედეგების გაცნობა და აღნიშნულს ბიზნეს სკოლის ადმინისტრაცია , პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად იყენებს პროგრამის ხარვეზების იდენტიფიცირებისთვის და პროგრამის შემდგომი განვითარება/დახვეწის მიზნით. ვიზიტის დროს ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ პროგრამის გადახედვა ხდება წელიწადში ორჯერ და უმნიშვნელო ცვლილების

შეტანა უწყვეტად ხორციელდება კურსების დონეზე, რათა სტუდენტმა მიიღოს მაქსიმალურად განახლებული ცოდნა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე და დარგში არსებული მიღწევების გათვალისწინებით. პროგრამის პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე მისი შედეგები პირდაპირ პასუხობს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს და ფაქტიურად ერთადერთია საქართველოში, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის სწავლის შედეგები; ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ პროგრამის მიზნები; ✓ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ✓ სილაბუსები; ✓ საგნების და სწავლის შედეგების რუკა; ✓ გამოცდების ჩატარების წესი; ✓ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში); ✓ ვებგვერდი; ✓ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. მასზე სწავლა შეუძლია უსდ-ს ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საერთო სამაგისტრო გამოცდის დებულებისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში. ასევე განსაზღვრულია სტუდენტთა მობილობისა და იმ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი, რომლებმაც მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების ანდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში; თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემდეგია: ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე (B ტესტი) მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ✓ ინგლისური ენის ფლობა Intermadiate დონეზე ✓ სამუშაო დონეზე ფლობა Microsoft Office-ის პროგრამების (Word, Excel, Power Point) ✓ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (გასაუბრების ფორმით) წარმატებით გავლა. გასაუბრებას აქვს ინტერვიუს ფორმა, სადაც მოწმდება: - კანდიდატის

კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარი რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიტუაციების ანალიზის საფუძველზე და მისი პიროვნული უნარ–ჩვევები, რაც განსაზღვრავს კანდიდატის მოტივაციას, ლიდერობას და ეფექტური კომუნიკაციის უნარს. ეს მნიშვნელოვანი წინაპირობაა მისი, როგორც ბიზნესის ადმინისტრატორის ჩამოყალიბებისთვის. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის კომისიის შემადგენლობაში არიან უნივერსიტეტის პრორექტორები, ბიზნესის სკოლის დეკანი, ბიზნესის სკოლის კოორდინატორი, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე განთავსებულია ინფორმაცია პირთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ. წარმოდგენილი და მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უსდ-ს აქვს განსაზღვრული პირთა პროგრამაზე დაშვების კანონმდებლობასთან შესაბამისი, გამჭირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ✓ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში; ✓ სტუდენტებთან ინტერვიუ; ✓ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ; ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუ. ✓ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამა შეიქმნა უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამასთანავე გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მისია, შრომის ბაზრის მოთხოვნები, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები. საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება „სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში“ მისანიჭებელი კვალიფიკაცია - 0413, რომლიც თავსებადია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან; სწავლების მოცულობა ECTS კრედიტებში; სწავლების ენა; პროგრამის მიზანი, რომელიც თავსებადია უნივერსიტეტის მისიასთან; დასაქმების სფეროები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები; სწავლებისა და სწავლის მეთოდები; სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; სასწავლო გეგმა/კურიკულუმი და სემესტრული გეგმა; პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსები თავსებადია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამა დაყოფილია ოთხ მოდულად, რომლებიც თანმიმდევრულად უზრუნველყოფენ შედეგებზე გასვლას. სამაგისტრო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე პროგრამა არის უფრო პრაქტიკული ხასიათია და უზრუნველყოფს მაღალი დონის პრაქტიკული უნარ ჩვევების ჩამოყალიბებას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. მოდულების აგებულება ემსახურება ოპერაციების მენეჯმენტში თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის საჭირო საგნებს. პროგრამა კვლევის უნარების გამომუშავების კომპონენტებს უდგება, როგორც ანალიტიკურ უნარს და არა, როგორც კლასიკურ სამეცნიერო კვლევას. პირველი სამი მოდული მოიცავს სავალდებულო საგნებს, ხოლო მეოთხე მოდული შედგება სადიპლომო პროექტისა და არჩევითი კომპონენტისაგან.

სადიპლომო პროექტს არჩევს სტუდენტი და უთანხმებს სავარაუდო ხელმძღვანელს. სადიპლომო ნაშრომების ხელმძღვანელები წინასწარ არ აქვეყნებენ თემატიკას. სადიპლომო ნაშრომი სრულად პრაქტიკული ხასიათისაა, სადიპლომო პროექტზე სტუდენტი მუშაობს ინდივიდუალურად, წინა წლებში ასევე ნებადართული იყო პროექტის მომზადება 2 სტუდენტის მიერ, თუმცა ეს პირობა განახლებული პროგრამიდან ამოღებულია. სტუდენტი ნაშრომს ასრულებს ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. სტუდენტი ვალდებულია დაასრულოს პროექტზე მუშაობა დადგენილ ვადაში და წარადგინოს სადიპლომო პროექტი, როგორც სადიპლომო ნაშრომის, ასევე პრეზენტაციის სახით. პროექტი შესაძლოა იყოს შემდეგი ტიპის:

- ✓ კომპანიის ღირებულების შეფასება;
- ✓ ახალი პროდუქტის დანერგვა;
- ✓ ბიზნესის გეგმა;
- ✓ საინვესტიციო პროექტის შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მართვის ან განვითარების პრობლემის გადაწყვეტა
- ✓ ბიზნეს ორგანიზაციის ანალიზი;
- ✓ კომპანიის ოპერაციების ოპტიმიზაციის გეგმა და სხვა.

წარმოდგენილია სადიპლომო პროექტის სილაბუსი, სადაც დეტალურადაა გაწერილი შეფასების სისტემა და ნაშრომის გაფორმების წესი, თუმცა მომზადებულ ნაშრომებში არსებული მიდგომები სრულად არ არის დაცული. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული რეგულაციები ახალი მიღებულია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პლაგიატის პროგრამას არ იყენებენ, რადგან როგორც აკადემიური პერსონალი აღნიშნავს, რომ პროექტები, რომელსაც სტუდენტები წერენ უნიკალურია. ამასთანავე ნაშრომი მცირე მოცულობისაა (მაქსიმალური გვერდების რაოდენობა 50) და ნაშრომში არსად არ არის რაიმე აღწერა, რა სამუშაოს მოცულობა შესრულდა კონკრეტული პროექტის მომზადებისას. სავარაუდოა, რომ დაცულ ნაშრომებში შედგენილი იყო კითხვარები, გაანალიზებული იყო ფირმის რამდენიმე წლის ფინანსური ანგარიშგება გამოკვლეული იყო ბაზარი ანდა შეფასებული იყო ინდუსტრია. თუმცა ამის აღწერილობას მეთოდოლოგიის სახით არ მოიცავდა ნაშრომები. სწორედ ამიტომ, თუ შევხედავთ თავად ნაშრომს შეიძლება გაჩნდეს დამოკიდებულება, რომ მის მომზადებას არ სჭირდება 750 სამუშაო საათი, რაც 30 კრედიტის ადეკვატურია.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა შექმნილია დამსაქმებლის დაკვეთით და უფრო მეტად მაღალი დონის პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზეა

ორიენტირებული. პროგრამა 120 (ECTS) კრედიტიანი, მათგან 115 (ECTS) კრედიტი ძირითადი, ხოლო 5 (ECTS) კრედიტი ეთმობა არჩევით საგანს, თუმცა მეტის საშულებას არ იძლევა ის მრავალფეროვანი სწავლების შედეგები, რაც პროგრამითაა გაწერილი. ასევე პროგრამის განვითარებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. პროგრამა ბოლო 4 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. დაინტერსებული მხარეების კვლევის შედეგების ნახვა ვერ მოხერხდა, კონფედენციალური ინფორმაციის საფუძვლით და საჭიროებდა თუ არა პროგრამა ცვლილებას დაინტერსებული მხარეების მოსაზრებებით კვლევის საფუძველზე ამაზე მსჯელობა არ არის შესაძლებელი. თუმცა დაინტერსებულ მხარეებთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ ასეთი საჭიროებები არ არსებობდა.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, რამდენადაც პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ კურიკულუმის რუკა;
- ✓ ვებგვერდი;
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

✓ დასახვეწია სადიპლომო პროექტის სილაბუსი, უნდა დაემატოს/შემუშავდეს ნაშრომის სარეკომენდაციო სტრუქტურა და სტუდენტს მოეთხოვოს პროექტში ჩატარებული სამუშაოს მეთოდოლოგიის და/ან აღწერილობის წარმოდგენა, რადგან ეს ნაწილი გათვალისიწინებულია შეფასებაში, თუმცა შესრულებულ ნაშრომებში არ არის ასახული;

✓ მოხდეს პლაგიატის პროგრამის გამოყენება, სადიპლომო პროექტზე მუშაობისას, მიუხედვადი იმისა, რომ შესაძლბელია ყველა ნაშრომი იყოს უნიკალური, ალბათობა იმისა, რომ შესაძლბელია ანალზის ახდენდენ სხვის ქეისებში განხილულის მსგავსად მაინც მაღალია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთანავე, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ძირითადად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ეფუძნება აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსში ძირითადად წარმოდგენილია მხოლოდ ძირითად ლიტერატურა. მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი ასევე იყენებენ დამატებით მასალას, რომელიც არ არის სილაბუსში წარმოდგენილი. აღსანიშნავია პირველ მოდულში არის ტრენინგის ტიპის 1 კრედიტიანი საგანი „ეფექტური კომუნიკაცია“, რომელიც გაწერილია მხოლოდ 25 საკონტაქტო საათზე. სილაბუსიდან, რომელიც უფრო ტრენინგის საკითხების გეგმაა, არ იკვეთება რა მასალას იყენებს ან და რა სავარჯიშოს აკეთებს ლექტორი/ტრენერი, რომლის საფუძველზეც ვიმსჯელებდით საგნის

შედეგიანობაზე. თუმცა უშუალოდ ტრენერებთან გასაუბრებისას მათმა წამოადგინეს პრეზენტაცია, რომლითაც სარგებლობენ. მიღებული მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული საგანი ახდენს სტუდენტებში მნიშვნელოვანი ტრანსფერული უნარების განვითარებას და შესაძლებლია ჩაითვალოს საუკეთესო პრქტიკად,მეორეს მხრივ, საგნის უკეთ შეფასებისთვის კარგი იქნება სილაბუსს თუ დაურთავენ სასწავლო გეგმას, სადაც მითითებული იქნება აქტივობების/სავარჯიშოების ჩამონათვალი და ამასთანვე ლიტერატურა, რაც საგნის ეფექტიანობის შესახებ უფრო უტყუარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მისცემს ექსპერტთა ჯგუფს გარდა ამისა, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება განათლების მეშვიდე საფეხურის პრაქტიკულ ანალიტიკურ მიმართულებას. კარგი იქნება სამაგისტრო პროექტის მომზადებისას მასში უფრო მეტად გათვალისწინებული იყოს სამეცნიერო მიმართულებაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ თვითშეფასება; ✓ სილაბუსები; ✓ კურიკულუმის რუკა; ✓ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები; ✓ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ▪
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სილაბუსებში ჩამატებული იქნას არასავალდებულო ლიტერატურა; ✓ სადიპლომო პროექტის მომზადებისას სტუდენტებს მოეთხოვოთ სხვა კომპონენტებთან ერთად ლიტერატურის მიმოხილვა; ✓ სადიპლომო პროექტის მომზადებისას მასში უფრო მეტად გათვალისწინებული იყოს სამეცნიერო მიმართულებაც; ✓ საგნის სილაბუსს „ეფექტური კომუნიკაცია“, დაემატოს სასწავლო გეგმა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამა ითვალისწინებს ტრენინგის ტიპის საგანს „ეფექტურ კომუნიკაციას“, რომელიც ახდენს სტუდენტებში ტრანსფერტული უნარების განვითარებას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა სწავლის შედეგებიდან გამომდინარე და მათ შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ასევე პროგრამაში წამოწეულია მონაცემების რაოდენობითი მეთოდების დამუშავების კომპონენტები საგნებით: „ოპერაციათა კვლევა - სიმულაცია და რისკების ანალიზი“ და „ოპერაციათა კვლევა - სიმულაცია და რისკების ანალიზი“, რომელიც ემსახურება ფირმის ოპერაციათა შეფასებას, თუმცა თვისობრივი კვლევის ელემენტები არ არის პროგრამაში ასახული, ასევე სუსტადაა წარმოდგენილი სამეცნიერო მიმართულებაც. თუმცა თავად პროგრამას მიზნად აქვს მხოლოდ პრაქტიკული მიმართულების კვლევის შესწავლა სტუდენტებისთვის. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები არ არიან ჩართულები სამეცნიერო კვლევით პროექტებში. უსდ-ს წარმომდაგნელები აღნიშნავენ, რომ სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში პრაქტიკა-ტევადი პროგრამაა. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი **პრაქტიკული უნარების** განვითარებისათვის: პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ სასწავლო კურსებს: ოპერაციების მართვა, პროექტების მართვა, ცვლილებების მართვა, ეფექტური კომუნიკაციები და სხვა. პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული მეცადინეობები სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით: case-study-ის განხილვები,

სიმულაციები, როლური და სიტუაციური თამაშები და სხვა. პროგრამა თანმიმდევრულია და ლოგიკურად ვითარდება, სტუდენტები არიან ჩართული ანალიტიკურ მუშაობაში, თუმცა ნაკლებად ახდენს - პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარებიდან - სამეცნიერო უნარის განვითარებას. კურსი მოიცავს საგანს „მონაცემთა ანალიზი“, რომელშიც ისწავლება სახელმძღვანელოთი, Mark L. Berenson, David M. Levine, Timothy C. Krehbiel, Basic Business Statistics: Concepts and Applications, Twelfth Edition, Pearson Education,Inc, რომელიც იძლევა მონაცემთა დამუშავების მყარ ცოდნას, თუმცა კარგი იქნებოდა პროგრამაში გათვალისიწნებული იყოს კურსი სადაც გათვალსიწინებული იქნებოდა მონაცემთა მოპოვბის თვისობრივი მიმართულებებაც, რაც პროგრამას გააუმჯობესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები; ✓ თვითშეფასების ანგარიში; ✓ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: მოხდეს სტუდენტთა სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებში და აქტივობებში ინტენსიური ჩართვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ პროგრამაში შეტანილი იქნას საგანი ბიზნესის კვლევის მეთოდები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში, ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებით. შესაბამისად სწავლება-სწავლის მეთოდების მორგებულია სტუდენტის საჭიროებებს. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა-სწავლების მეთოდები საგნის/კურსის/მოდულის საჭიროების მხედვით ცვალებადია. სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, უფლებამოსილია იყენებდეს ერთ/რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს, რომელიც შესაძლებლია არ იყოს მითითებული სილაბუსში თუმცა ემსახურებოდეს კონკრეტული სასწავლო-მიზნებს. შეფასების სისტემა იცვლება საგნის მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად საგანში „ოპერაციების მართვა“ სტუდენტს მოეთხოვება საშინაო დავალებების შესრულება კომპონენტი 1: ამოცანათა პაკეტი (26%), ასევე ქეისის ანალიზი კომპონენტი 2: ქეისის წერითი ანალიზი (14%), ამასთანავე, კომპონენტი 3: შუალედური საკონტროლო შემოწმება (20%), კომპონენტი 4: პროექტის დაცვა (15%) და 5: დასკვნითი გამოცდა (25%), ხოლო საგანში ოპერაციათა კვლევა - გადაწყვეტილების მიღება“ არის შემდეგი შეფასების კომპონენტები: 1. პირველი შუალედური 30%, 2. მეორე შულედური 30%, 3. ქეისის ანალიზი 10% და 4. ფინალური გამოცდა 30%. ასევე, საგანში პროექტების მართვა გატვალსიწინებულია შემდეგი სახის შეფსებები: 1. სავარჯიშოები (ჯგუფური) 20% (4x5%), 2. ძირითადი პროექტი (ჯგუფური)40% და 3. დასკვნითი გამოცდა (ინდივიდუალური) 40%.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამასა და სილაბუსებში; ✓ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასების სისტემა მრავალფეროვანი, შეესაბამება როგორც კურსის/საგნის/მოდულის შინაარსსა და მიზნებს ასვე პროგრამის მისაღწევ შედეგებს. შეფასება სხვადასხვა სახის კრიტერიუმით ზომავს მას, თუ რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის გავლის შედეგად, რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამის „ოპერაციების მენეჯმენტში“, სასწავლო კურსებში მოცემული შეფასების სისტემა გაწერილია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების (2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. შეფასების სიტემის კრიტერიუმების გამჭირვალობისთვის, თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია. სტუდენტისთვის შეფასების სისტემა გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია

სილაბუსებში, ასევე გამოცდების ჩატარების წესის და მაგისტრატურის დებულებაში, რომლებიც განთავსებულია ვებ-გვერდზე და/ან სასწავლო პროცესის მართვის ინფორმაციულ სისტემაში. შეფასების სისტემა საშულებას აძლევს ლექტორს ობიექტურად და სამართლიანად შეაფასოს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები საგნის ფარგლებში. ცოდნის შემოწმების გარდა შეფასების სისტემა ახდენს სტუდენტთან შეფასების შესახებ უკუკავშირს, რაც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტისთვის მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას უკეთ დაგეგმოს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზები. უსდ-ში წერითი გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრში, რომელიც 200 სტუდენტზეა გათვლილი. საგამოცდო ცენტრში სისტემურად შემცირებულია გადაწერისა და წყაროებით სარგებლობის რისკი, შეზღუდულია ინტერნეტზე წვდომა, თუ ეს არ არის ცენტრის მიერ დაშვებული. საგამოცდო ცენტრის მიერ წინასწარ ხდება საგამოცდო განრიგის შედგენა, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე და წინასწარ ეცნობება სტუდენტებს. სტუდენტების შეფასებისთვის დადგენილია გამჭირვალე და ქმედითი პროცედურები, რომელიც გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა; ✓ თვითშეფასების ანგარიში; ✓ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; ✓ ელექტრონული სისტემა; ✓ შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა; ✓ ვებგვერდი; ✓ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში არსებული შესაბამისი სერვისები (სტუდენტური პორტალი-ემისი, ელექტრონული ფოსტა, უნივერსიტეტის ვებ-გვერდი) უზრუნველყოფენ სტუდენტებს საჭირო ინფორმაციით. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან დროულად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ კონსულტაციას. სტუდენტთა ცოდნის შეფასების მექანიზმებისთვის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები. მართალია, სილაბუსებში არაა მოცემული სტუდენტებთან კონსულტაციისთვის განკუთვნილი კონკრეტული დრო და ადგილი, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგეს პრობლემას, ვინაიდან კონსულტაციები, როგორც აკადემიურ, ისე სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, ტარდება საჭიროებისამებრ ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისად, ორივე მხარის მიერ შეთანხმებულ დროს. ამასთან, კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებითაც. უმაღლესი საგანანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას არსებული პროექტების და მობილობების პროგრამების შესახებ. თუმცა, სტუდენტთა აქტიურობა ამ მიმართულებით არ არის მაღალი. ამის მიზეზად ძირითადად დროის უქონლობა და მცირე არჩევანი სახელდება. ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი სტუდენტების სერვისის გასაუმჯობესებლად და კმაყოფილების გასაზრდელად ყოველ სემესტრულად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას, შესაბამისად, ცდილობს გაითვალისწინოს მათი რჩევები და რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი, რომლის მთავარი ფუნქციაც უნივერსიტეტების სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე ზრუნვაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების ანგარიში; ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები; ✓ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ ინტერნაციონალიზაციის მიზნით სასურველია დაწესებულებამ წაახალისოს სტუდენტები საერთაშორისო მობილობებში თუ, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სადიპლომო პროექტზე სტუდენტი მუშაობს ინდივიდუალურად, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. სტუდენტი ვალდებულია დაასრულოს პროექტზე მუშაობა დადგენილ ვადაში და წარმოადგინოს სადიპლომო პროექტი, როგორც სადიპლომო ნაშრომის, ასევე პრეზენტაციის სახით. პროექტზე უნდა გაკეთდეს რეცენზია, რომელსაც სტუდენტი წარმოადგენს დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. პროექტის დაცვაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ ხელმძღვანელისგან მიღებული დასტურის შემთხვევაში, რომ მისი პროექტი მზად არის წარსადგენად.

კურსდამთავრებულთა ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროცესი თანმიმდევრულია. ნაშრომის შერჩევა ხდება სტუდენტის მიერ. სადიპლომო პროექტის ხელმძღვანელმა აღნიშნეს, რომ პროექტის მიმართულების გამოქვეყნება და დადგენა არ ხდება წინასწარ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი შედგება დარგში პრაქტიკული კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებისაგან, რომლებიც ძირითადად ეწევიან პრაქტიკულ საკონსულტაციო საქმიანობას. თუმცა მათი სამეცნიერო აქტივობა მცირეა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ✓ მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების და თანა ხელმძღვანელების პირადი საქმეები; ✓ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომლის შედეგები წერილობით არ იქნა გაზიარებული თუმცა ვიზიტისას დაინტრესებულმა მხარებმა ისაუბრეს აღნიშნულ შედეგებზე; ✓ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 23-ს, მათ შორის აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი), აგრეთვე სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 9-ს, ხოლო უცხოეული პერსონალი არაა ჩართული ოპერაციების მენეჯმენტის პროგრამაში. უნივერსიტეტის პერსონალის პირადი საქმეების გაცნობით, აგრეთვე ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა მიმართულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფაზე, პრაქტიკული გამოცდილება და პრაქტიკული უნარების შეძენაზე აქცენტი კურიკულუმის შეფასებისას საგრძნობია. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ წელიწადში 2-ჯერ ხდება პროგრამის გადახედვა, საჭიროებისამებრ უკუკავშირი სხვადასხვა დაინტერესებული

მხარეების გამოკითხვებზე და ახალი საგნებისა თუ აკადემიური პერსონალის დამატება. ბოლო 5 წლის მაჩვენებლით, აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი 0%-ია, ხოლო მოწვეული პერსონალის - 13%. აღსანიშნავია, რომ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც, პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა შეადგენა არანაკლებ 50%-ს, სამეცნიერო პერსონალის - არანაკლებ 35%-ს და მოწვეული პერსონალი - არა უმეტეს 50%-ს. ოპერაციების მენეჯმენტის პროგრამის შეფასებისას, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები კმაყოფილნი არიან აკადემიური პერსონალის პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, ამასთანავე, პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ისინი უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის მონაცემების მიხედვით, პროგრამიდან გადასულ სტუდნეტთა რაოდენობა შეადგენს 0-ს. ამასთან, პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა რიცხოვნობა შეადგენს 26-ს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და მოქმედი ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში; ✓ შესაბამისი სამუშაოების აღწერები; ✓ პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; ✓ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები; ✓ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;

✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი; ✓ სერვისების კვლევა (სტუდენტები); ✓ საკონკურსო მასალები; ✓ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. პროფესორებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის დაფინანსებით სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტში კვალიფიკაცია აიმაღლეს. სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, რომელიც რეგულარულად აფასებს პროფესორ-მასწავლებლების აქტივობებს. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დაბალია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მიღწევების მაჩვენებელი.

ბოლო 5 წლის მონაცემებით, გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა არ აღემატება 11-ს (ადგილობრივი ჟურნალები - 2, საერთაშორისო ჟურნალები -9) და კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები -14-ს.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა, კერძოდ სემესტრის დასაწყისში ტარდება ტრენინგი, რაც მნიშვნელოვანია ახლად არჩეული პროფესორებისთვის; უნივერსიტეტში აგრეთვე

ყოველი სემესტრის დასაწყისში ატარებს **ტრენინგებს;** აცნობს ახლად არჩეულ აკადემიურ პერსონალს სილაბუსების შემუშავების, დაწერის მეთოდოლოგიას, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე პრინციპებსა და სტრატეგიებს; ეხმარება კურსისთვის შესაბამისი შეფასების სისტემის, ცოდნის შემოწმების ფორმების შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს და ზომავდეს სასწავლო კურსში პერსონალის მიერ შემუშავებულ სწავლის შედეგებს. ტარდება **ვორქშოფები,** საორიენტაციო შეხვედრები, რომელიც გულისხმობს აკადემიური პერსონალის დახმარებას სილაბუსების გამართულ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფაში, კურსისთვის რელევანტური შეფასების სისტემის შემუშავებაში, შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებას სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების შესაბამისად. ინტერვიუებზე პროფესორ-მასწავლებლებმა ერთხმად აღნიშნეს ადმინისტრაციის მხარდაჭერა.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტარდება სხვადასხვა სახის კვლევები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სწავლების მეთოდებში სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და იგეგმება სამუშაო შეხვედრები სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება მეცნიერის პროდუქტიულობის შეფასებას, იგი პილოტირების პროცესშია და იტესტება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- ✓ პერსონალთან გასაუბრება;
- ✓ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა.

რეკომენდაციები: მიუხედავად იმისა, რომ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა), დაბალია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებელი საერთაშორისო პროექტებში, კველევებსა და კონფერენციებში, აგრეთვე არაა სათანადოდ უზრუნველყოფილი საერთაშორისო თანამშრომლობა გამოხატული საერთაშორისო კვლევებით, გამოქვეყნებული შრომებით, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლით, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამებით, ორმხრივი შეთანხმებებით, მემორანდუმებით, და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება განახორციელოს როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის პროპორციული შეფასებით და წაახალისოს კვლევითი კომპონენტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
ასევე, უნივერსიტეტების კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს ისეთ ობიექტებს, როგორიცაა **სპორტული დარბაზი**, **კაფეტერია, საგამოცდო ცენტრი**, **თანამედროვე პარკინგი.** თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის აუცილებელ სახელმძღვანელოებს, მრავალფეროვან ლიტერატურას და პერიოდულ გამოცემებს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული

სახით. საძიებო ბაზებიდან აღსანიშნავია: http://www.scopus.com და https://www.sciencedirect.com/ ბიბლიოთეკის სტრუქტურა შედგება წიგნსაცავისგან, სამკითხველო დარბაზისგან და ელექტრონული ბიბლიოთეკისგან. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი თანაბრად ხელმისაწვდომია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. შენობის შესასვლელში მოწყობილია სავალი ნაწილი (პანდუსი), შენობაში უწყვეტლივ მუშაობს ლიფტი, არის ადაპტირებული სველი წერტილები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა; ✓ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები; ✓ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება; ✓ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო ✓ პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; ✓ ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან; ✓ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები; ✓ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები; ✓ ფაქტობრივი მდგომარეობა; ✓ შესყიდვების საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია; ✓ ინტერვიუს შედეგები. ✓ უნივერსიტეტის სტრუქტურა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი წარმოადგენს საქველმოქმედო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ცოდნის ფონდის“ ჯგუფის წევრს, რომელიც რეგულარულად ახორციელებს სტუდენტების სწავლისა და განვითარებისთვის თანხების გამოყოფას. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ. თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსური მოდელი აერთიანებს ყველა პროგრამისა და ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს. ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის გადასახადი შეადგენს 4 კვარტლურ გადახდას 1125 * 3 (ცვალებადი) = 3375 ლარს. აღსანიშნავია, რომ სწავლის საფასურის გადახდის სქემას მაგისტრანტი ირჩევს ხელშეკრულების გაფორმებისას და მორგებულია სტუდენტის ფინანსურ შესაძლებლობაზე: ან მოქმედებს გადახდის საბაზისო სქემის შესაბამისად ოთხი თანაბარი გადახდა, ან ყოველთვიური არათანაბარი გადახდა. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ბაკალავრის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების სწავლის გადასახადისგან შემოსული თანხა (სრული შემოსავლების 89,8%). თავის მხრივ, სტუდენტების სწავლის გადასახადი შედგება შემდეგი ძირითადი წყაროებისაგან (1 %-ის სიზუსტით): • სტუდენტების გადახდები 63% • სახელმწიფო სასწავლო გრანტი 37% თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის შეფასებისას, აგრეთვე ოპერაციების მენემენტის პროგრამის მაღალი რეიტინგიდან გამომდინარე, უნივერსიტი წარმოადგენს გრძელვადიანად ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამის ფინანსები და აუდიტორული

დასკვნა; ✓ დაფინანსების წყაროები; ✓ უსდ-ის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის ტოტალური უზრუნველყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა არის ინტეგრირებული ხასიათის, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობას ხარისხის კონტროლსა და განვითარებაში არა მხოლოდ ირიბად, არამედ პირდაპირ. კერძოდ, ამ პროცესში ჩართულნი არიან: სკოლის/ფაკულტეტის კოორდინატორები, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში, პრორექტორი სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში, სტუდენტების დეკანი. მათი გუნდური მუშაობის შედეგად ხდება პრობლემების იდენტიფიცირება, გადაწყვეტილების გზების ძიება და პროცესების უკეთ დაგეგმვა. ამგვარად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და სტრუქტურა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას შეინარჩუნოს ,,თხელი სტრუქტურის" (Lean Structure) იდეა, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს შეექმნათ ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერი და დაცული იყოს მათი ღირებულებები და აკადემიური თავისუფლება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა ხარისხის შეფასების მიზნით თანამშრომლობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან. აღნიშნული მიზნით სემესტრის განმავლობაში, სისტემურად, ტარდება გამოკითხვები „Surbeymonkey"-ის პლატფორმის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად, სტუდენტების მიერ ანონიმურად ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სკოლის ადმინისტრაციის, სასწავლო კურსებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შეფასება. გარდა რაოდენობრივი კვლევებისა, საჭიროების შემთხვევაში, ტარდება თვისობრივი კვლევები, ჩაღრმავებული ინტერვიუები ფოკუს ჯგუფებთან და ინდივიდუალური

შეხვედრები. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ არ არსებობს კითხვარის წინასწარ დადგენილი ფორმა, იგი გამომდინარეობს კონკრეტული კვლევის სპეციფიკიდან. კითხვარების დამუშავების შემდეგ ხდება შედეგების ანალიზი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს და სილაბუსების განახლებისთვის. მაგალითისთვის სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ეცნობა შესაბამის ლექტორს მათზე რეაგირებისთვის. შეფასების პროცესში ჩართულობა ინტერვიუების დროს დადასტურდა სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. თუმცა, დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისი აქტივობების დამადასტურებელი რაიმე მატერიალური დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების ანგარიში; ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დებულება და მექანიზმები; ✓ სტუდენტების გამოკითხვის ფორმის ნიმუში; ✓ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის უფრო მეტად ფორმალიზება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს უნივერსიტეტი განიხილავს და მხოლოდ კრიტიკული განხილვისა და დისკუსიის შემდეგ ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს ამ კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას. პროგრამის გარე შეფასებისთვის, ასევე გამოიყენება დასაქმების ბაზრის კვლევა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, ეს უკანასკნელი ტარდება ფოკუს-ჯგუფების დახმარებით. შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და დახვეწის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების ანგარიში ✓ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გარე ექსპერტ-შემფასებლების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მისი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის (PDCA) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ პრინციპს. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს საქმიანობის რომელი ასპექტები და რომელი საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეფასდეს, ახორციელებს დაგეგმილ სამუშაოს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით, აკეთებს მიღებული შედეგების ანალიზს, შემდეგ განსაზღვრავს აღმოჩენილი ხარვეზების მიზეზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს. თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში პროგრამის შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა საშუალების გამოყენებას: სტუდენტების გამოკითხვა, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ფოკუს ჯგუფის ინტერვიუების ჩატარება. ხოლო აკადემიურ პერსონალთან მიმართებით, როგორც ინტერვიუებით დადგინდა იმართება ინდივიდუალური შეხვედრები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის ხელშეწყობით. კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში პირდაპირი მეთოდი შეიძლება გულისხმობდეს ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმას. მაგალითად, მიღებული შედეგების სიმეტრიულობის კოეფიციენტის ანალიზისა და ნიშნების განაწილების მიხედვით შესაძლებელია ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდებისა და ტექნოლოგიების რელევანტურების დადგენა და სხვ. ამგვარად, რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გაანალიზების შედეგად ხდება აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება პროგრამაში ცვლილებების განსახორიცლებლად მისი გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება თბილისის თავისუფალ

უნივერსიტეტში მიმდინარეობს უწყვეტად და მუდმივად. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ განახორციელა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა. კერძოდ, შეირჩა 2 ბიზნესის სკოლა, რომლებიც QS University Ranking-ის მიხედვით ოცეულში შედიოდა: 1. The Wharton School at the University of Pennsylvania 2. Chicago Booth School Of Business შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა პროგრამებს შორის როგორც თანხვედრები, ისე მათთვის დამახასიათებელი გარკვეული თავისებურებები. აღსანიშნავია, რომ ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. აღნიშნულ გეგმაში პროცესებზე უკეთ დაკვირვების მიზნით სასურველია, აისახოს კონკრეტული სამიზნე ნიშნულები და პასუხისმგებელი პირები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების ანგარიში ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დებულება და მექანიზმები ✓ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი ✓ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შეფასების წესი ✓ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ✓ სტუდენტების გამოკითხვის ფორმის ნიმუში ✓ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ სასურველია პროცესებზე უკეთ დაკვირვების მიზნით სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აისახოს კონკრეტული სამიზნე ნიშნულები და პასუხისმგებელი პირები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ეკა გეგეშიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ნათია დაღელიშვილი

ლარისა პატარაია

ნინო ტალიკაძე